

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

დავით დავითის ძე ჯიშკარიანი

კლარნეტი და მისი რეპერტუარის ისტორიული და
საშემსრულებლო ასპექტები

სამუსიკო ხელოვნების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

MUS 0215.1.8: საშემსრულებლო ხელოვნება (ჩასაბერი საკრავები)

თბილისი, 2025 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ნინო ჟვანია**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ექსპერტი: **ნინო ბაქრაძე**

სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2025 წლის 10 ოქტომბერს, პარასკევს, 12 საათზე

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე N 5

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. N8/10

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ბიბლიოთეკაში

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ვანო
სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და
კონსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.tsc.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ეკა ჭაბაშვილი

სამუსიკო ხელოვნების დოქტორი

ასოც. პროფესორი

ავტორეფერატი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო თემის აქტუალობა. სხვადასხვა საკრავის დაბადების ისტორია, მისი გავრცელება და მექანიზმის დახვეწა, რეპერტუარის გაფართოვება, ახალი საშემსრულებლო ხერხების დაბადება, ამასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი ისტორიული, ტექნიკური და გამომსახველობითი პრობლემების შესწავლა და სისტემატიზაცია უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხებია, როგორც მუსიკოს-შემსრულებლისთვის, ისე კომპოზიტორებისთვის, რადგან მათი გააზრება და შესწავლა უშუალოდაა დაკავშირებული მუსიკალური ხელოვნების, შემსრულებლობის და მუსიკის აღქმის საკითხებთან.

საშემსრულებლო ხელოვნების კვლევა, მისი ისტორიის და თეორიის შესაწავლა შედარებით ახალი მიმართულებაა და მასში შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი ჩასაბერ საკრავებზე შესრულების ხელოვნების საკითხები. სწორედ ეს ასპექტი განსაზღვრავს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას.

კლარნეტი, თანამედროვე სახით, როგორც სხვადასხვა წყაროებშია მითითებული, გამოიგონა ნიუნბერგის ინსტრუმენტების მწარმოელმა იოჰან ქრისტოფ დენერმა. კლარნეტი მუსიკალურ პრაქტიკაში აქტიურად დამკვიდრდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც საორკესტრო, საანსამბლო და სოლო საკრავი.

თანამედროვე კლარნეტის შექმნამდე, შუა საუკუნეების, რენესანსის და ნაწილობრივ ბაროკოს ეპოქების საშემსრულებლო პრაქტიკაში გამოიყენებოდა მისი წინამორბედი ინსტრუმენტი, რომელსაც შალიუმო (ფრ. *chalumeau*) ერქვა. სახელწოდება „კლარნეტი“ მომდინარეობს სიტყვიდან "*clarino*", რომლითაც ჩასაბერი საკრავის ერთ-ერთ ნაირსახეობას ნათელი (ლათინურიდან *clarus*) ტემბრის გამო აღნიშნავდნენ .

კლარნეტი, სხვა ხის ჩასაბერი ინსტრუმენტების მსგავსად, არა ერთი საკრავია, არამედ ე. წ. „ოჯახს“ მოიცავს, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა ზომის და ტემბრის ინსტრუმენტები. ძირითადი A და B კლარნეტების გარდა, გამოიყენება D და C წყობის კლარნეტი (სოპრანო), A კლარნეტი (piccolo), E კლარნეტი (სოპრანიно), ბას-

კლარნეტი, შედარებით იშვიათად ბასეტ-კლარინეტი, ალტო-კლარინეტი, კონტრალტო-კლარინეტი, ბასეტჰორნი, კონტრაბას-კლარნეტი და სუბკონტრაბას-კლარნეტი. მათი კონსტრუქცია და, შესაბამისად, ტემბრი და ტექნიკური შესაძლებლობები ერთმანეთისგან განსხვავებულია. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ბასეტჰორნი, რომელიც გამოიგონეს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. იგი ძირითადად გამოიყენებოდა კლასიციზმის ეპოქის კომპოზიტორების შემოქმედებაში. დღევანდელობაში ყველაზე გავრცელებული არის A და B კლარნეტები, რომლებიც რეგულარულად გამოიყენება საორკესტრო, კამერულ და სოლო რეპერტუარებში. საორკესტრო ინსტრუმენტალისტი აუცილებლად უნდა ფლობდეს A და B კლარნეტებს, ასევე ორკესტრში გამოიყენება ბანის და პიკოლო კლარნეტიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადამიური მუსიკის გარდა კლარნეტი პოპულარულია ჯაზშიც.

კლარნეტზე შემსრულებლობის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ეხება საკრავის მექანიზმის სისტემას. საშემარულებლო პრაქტიკაში, საწყის ეტაპზე გამოიყენებოდა ერთი ტიპის, ე. წ. გერმანული სისტემის საკრავი (ამჟამად გავრცელებულია ოლერის სისტემა), მაგრამ მოგვიანებით შეიქმნა ე. წ. ფრანგული (ბიომის) სისტემის კლარნეტები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოიყენება, გარდა გერმანიისა და ავსტრიისა. ამ ორი უმთავრესი (თუმცა, სხვა სისტემებიც არსებობს) სისტემის კლარნეტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ტექნიკური, ისევე ტემბრული შესაძლებლობებით, რაც განაპირობებს თითოეული პოპულარობას შესაბამისი სტილი ნაწარმოებების შესრულებისას.

ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა კლარნეტი, გვიქმნის მისი გამოყენება სხვადასხვა ჟანრის რეპერტუარში - იქნება ეს სოლო თუ კამერული მუსიკა. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, როგორ ვითარდებოდა კლარნეტის როლი სხვადასხვა ეპოქის ორკესტრშიც. აქედან გამომდინარე, ჩვენ კლარნეტის განვითარების ისტორიას სწორედ მისი სხვადასხვა ჟანრის რეპერტუარის მიმოხილვის ფონზე ვაკეთებთ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ თვალსაზრისით, კლარნეტის კონცერტის ჟანრის ევოლუცია, რადგან საკრავის სოლისტად დამკვიდრების ამპლუაში სწორედ ამ ჟანრმა ითამაშა უმთავრესი როლი. პირველი კონცერტი კლარნეტისთვის ეკუთვნის იტალიელ კომპოზიტორს ანტონიო პაგანელის, სახელწოდებით „CONCERTO PER

CLARETO”, რომელიც, სავარაუდოდ, 1733 წელს დაიწერა და, შესაძლებელია, განკუთვნილი ყოფილიყო შალიუმოსთვის. რამდენიმე წლით ადრე, 1728 წელს, სოლო საკრავის ფუნქციით კლარნეტი გამოიყენა იოჰან ვალენტინ რატგებერმა Concerto grosso-ში. მოგვიანებით, კლასიციზმის და ადრეული რომანტიზმის ეპოქებში კონცერტები კლარნეტისთვის შედარებით უფრო ფართოდ გვხვდება, რასაც ვირტუოზი შემსრულებლების გაჩენას უკავშირებენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ კლარნეტისთვის დაწერილ კონცერტებს შორის აღსანიშნავია: შტამიცების, კრომერის, მოცარტის, ვებერის და შპორის კონცერტები.

XX საუკუნეში დაიწყო კლარნეტის, როგორც სოლო საკრავის თავისებური აღორძინება. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნილსენის, სტრავინსკის, ჰინდემიტის და კოპლენდის კონცერტები. აღსანიშნავია, რომ არც XX საუკუნის მეორე ნახევრის კომპოზიტორებს დაუკარგავთ ინტერესი კლარნეტის მიმართ. მათ ნაწარმოებებს შორის გამოვყოფთ ფრანსეს, კორილიანოს, ლახენმანის, ადამსის, კარტერის და უკვე XXI საუკუნეში გადმოსული ლინდბერგის, საარიაჰოს და სხვათა კონცერტებს კლარნეტისა და ორკესტრისთვის.

იმისთვის, რომ წარმოვაჩინოთ საკომპოზიტორო პრაქტიკაში კლარნეტის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება, სადისერტაციო ნაშრომის ანალიტიკურ თავში საშემსრულებლო კუთხით ვაანალიზებთ სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე კონცერტს, რადგან სწორედ ამ ჟანრში წარმოჩნდება ყველაზე უკეთ საკრავზე შესრულების სპეციფიკა. ნაშრომში თითოეულ ეპოქას თითო კონცერტით წარმოვადგენთ, რომელიც, ჩვენის აზრით, ნათლად წარმოაჩენს მოცემული ეპოქის კლარნეტის და საკლარნეტო რეპერტუარის უმთავრეს მახასიათებლებს. ყველა ჩვენ მიერ განხილული კონცერტი სხვადასხვა ამოცანის წინაშე აყენებს შემსრულებელს, რომელთა ანალიზი და სირთულეების დაძლევის გზები განხილულია დისერტაციაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ A და B კლარნეტებთან შედარებით, კლარნეტის სხვა სახეობები არ გამოირჩევა სოლო რეპერტუარის სიუხვით. თუმცა, მათთვისაც არსებობს შესაბამისი რეპერტუარი, განსაკუთრებით ბას-კლარნეტისთვის. ამიტომ ამ საკრავების მნიშვნელობაზე ჩვენ იმ თავში ვისაუბრებთ, რომელიც კლარნეტის კამერულ საორკესტრო მუსიკაში გამოყენებას ეხება.

ცალკე თავი ეთმობა კლარნეტზე შესრულების სპეციფიკისა და სწავლების მეთოდის საკითხების განხილვას, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია კლარნეტის და მისი რეპერტუარის საშემსრულებლო ასპექტებზე საუბარი.

თანამედროვე მუსიკაში ცალკე ტენდენციად ვითარდება გაფართოებული ტექნიკის გამოყენება სხვადასხვა სახის კლარნეტზე. დისერტაციაში მთელი თავი ეთმობა გაფართოებულ ტექნიკას, ვინაიდან შეუძლებელია, ვისაუბროთ თანამედროვე საკლარნეტო რეპერტუარზე, გაფართოებული ტექნიკის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** კლარნეტისა და მისი რეპერტუარის ევოლუციის შესწავლა ისტორიული და საშემსრულებლო პერსპექტივებიდან, რაც დაგვხმარება ინსტრუმენტის მხატვრული განვითარების უკეთ გასააზრებლად და კლარნეტზე შესრულების ინტერპრეტაციული მიდგომების გასამდიდრებლად. შედეგად, **კვლევის ობიექტი** არის კლარნეტი, ხოლო **საგანი** - მისი რეპერტუარი. კვლევის მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა შემდეგი **ამოცანების** გადაჭრა:

- კლარნეტის ისტორიული განვითარების კვლევა, სხვადასხვა მუსიკალურ ეპოქაში ინსტრუმენტის კონსტრუქციის და რეპერტუარის ევოლუციის ანალიზი;

- საკლარნეტო რეპერტუარის სხვადასხვა ეპოქის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების (აქცენტი - კლარნეტის კონცერტის ჟანრზე) ანალიზი, მათი სტილისტური თავისებურებებისა და ინოვაციების გამოვლენით;

- საშემსრულებლო პრაქტიკის შესწავლა ისეთ საკითხებზე აქცენტით, როგორიცაა ინტერპრეტაციის, არტიკულაციის, ფრაზირების, ტექნიკის ასპექტები და მათი ცვლილება დროთა განმავლობაში.

- შემსრულებლებსა და კომპოზიტორებს შორის ურთიერთობის გაანალიზება და იმ გამოჩენილი კლარნეტისტების გამოვლენა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს როგორც კლარნეტზე შესრულების, ისე მისი რეპერტუარის გაფართოების საქმეში.

- პრაქტიკული რჩევების მიწოდება კლარნეტისტებისთვის, რომლებიც მოიცავს საკითხებს, დაკავშირებულ საშემსრულებლო სირთულეებთან, ინსტრუმენტის

არჩევასთან, ისტორიულად ინფორმირებულ შესრულებასა და სტილისტურ ნიუანსებთან.

ლიტერატურის მიმოხილვის მოკლე აღწერა

კლარნეტისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურა მრავალფეროვანი და მოცულობითია. მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ისტორიული კვლევები. კლარნეტის ტრანსფორმაცია ბაროკოს ეპოქის შალიუმოდან თანამედროვე ინსტრუმენტამდე საფუძვლიანად არის აღწერილი რამდენიმე ფუნდამენტურ ნაშრომში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალბერტ რ. რაისის *The Baroque Clarinet* და *The Clarinet in the Classical Period*. ერიკ ჰოპრიხის მონუმენტური ნაშრომი *The Clarinet* წარმოადგენს კლარნეტის ევოლუციის კომპლექსურ ხედვას, რომელიც აერთიანებს ინსტრუმენტის აგებულების, საშემსრულებლო ისტორიისა და რეპერტუარის კვლევას.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება ეხება საშემსრულებლო პრაქტიკასა და ტექნიკას. ისტორიულ მეთოდურ სახელმძღვანელოებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იასენტ კლოზეს *Méthode complète de clarinette*, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე პედაგოგიკას, განსაკუთრებით ფრანგულ სკოლაში. ასევე აღსანიშნავია ჟან-ქსავიერ ლეფერვეს წიგნი „*Méthode de Clarinette: adoptée par le Conservatoire pour servir à l'étude dans cet établissement*“, იოზეფ ფროლიხის მონოგრაფია „*Vollständige theoretisch-praktische Musikschule für alle Musikinstrumente, insbesondere für Clarinette*“, იოჰან გეორგ ჰაინრიხ ბაკოფენის „*Anweisung zur Klarinette nebst einigen Duetten und Vortragsstücken*“, და ამანდ ვანდერჰაგენის ორი ნაშრომი: „*Méthode nouvelle et raisonnée pour la clarinette*“ და „*Nouvelle méthode de clarinette*“. ამ მიმართულებაში გადის ვალენტინ როსერის ფრანგულენოვანი ნაშრომი *Essai d'instruction à l'usage de ceux qui composent pour la clarinette et le cor*, რომელიც უფრო იმ კომპოზიტორებზეა გათვლილი, ვისაც სურს კლარნეტისთვის მუსიკის შექმნა.

ქართულენოვანი ლიტერატურიდან აღსანიშნავია შალვა მშველიძის „საკრავთმცოდნეობა“, რომელშიც ერთი თავი კლარინეტს და მის ოჯახს ეთმობა; ასევე სტუდენტის სახელმძღვანელო „*პიანისტი-აკომპანიატორი*“, სადაც გაანალიზებულია ჩასაბერ საკრავთა თანხლების უმთავრესი პრინციპები. ქართველ კომპოზიტორ გიორგი შავერზაშვილს ეკუთვნის ნარკვევები საკრავთმცოდნეობის მიმართულებით, რომლებიც

ხელნაწერის სახითაა გავრცელებული. ამ ნარკვევებში, ბუნებრივია, საკუთარი ადგილი ეთმობა კლარნეტსაც.

როგორც ვხედავთ, კლარნეტისადმი მიძღვნილი ლიტერატურა ქმნის მრავალგანზომილებიან სურათს ინსტრუმენტისა, რომელიც კვლავაც ინსპირაციას იძლევა კვლევითვის ისტორიულ, ტექნიკურ, მხატვრულ და კულტურულ დონეებზე.

სწორედ ეს იქცა ჩვენთვის შთაგონების წყაროდ. თუმცა ჩვენს ნაშრომში გათვალისწინებული კლარნეტისა და მისთვის შექმნილი რეპერტუარის ევოლუციის ერთიან სურათს, რომლის ნაწილია ქართული ნაწარმოებებიც, და ამ კონტექსტში წარმოგიდგენთ საკუთარ საშემსრულებლო გამოცდილებაზე დაყრდნობით მიღებულ კონკრეტულ საშემსრულებლო რჩევებს, როგორც ზოგადად კლარნეტზე, ისე კონკრეტული საკლარნეტო კონცერტების შესრულებასთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, ეს ნაშრომი მოიცავს საქართველოში ახლახან დამკვიდრებული მხატვრული კვლევის ელემენტებსაც, რაც, ჩვენის აზრით, საბოლოოდ ამ ნაშრომის უნიკალობასა და მეცნიერულ სიახლეს განაპირობებს.

კვლევის მეთოდოლოგია

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, კვლევის მეთოდები მეტწილად თვისებრივია. ჩვენ მივმართეთ:

- **ისტორიზმის პრინციპს**, განვიხილეთ რა კლარნეტის ევოლუცია ისტორიულ ჭრილში;
- **კომპარატიულ მეთოდს**, რომელიც გამოვიყენეთ სხვადასხვა ეპოქის ნიმუშების შედარებითი ანალიზისას;
- **აღწერას**, ისევე როგორც **კომპილაციურ და კომპლექსურ მეთოდებს**.

ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოვიყენეთ **მხატვრული კვლევის მეთოდოლოგიის** ელემენტებიც, რამაც საშუალება მოგვცა, პირადი საშემსრულებლო გამოცდილების საფუძველზე გამოგვეტანა დასკვნები.

საკითხთა სწორედ ამ წრემ განაპირობა **ნაშრომის სტრუქტურა**. დისერტაცია შეიცავს შესავალს, ოთხ თავს, დასკვნას, ბიბლიოგრაფიას ქართულ და ინგლისურ ენებზე (51 დასახელების წყარო). ნაშრომის შინაარსი გადმოცემულია კომპიუტერზე აწყობილ 84 გვერდზე.

სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა განხორციელდა 2025 წლის 9 ივნისს, თბილისის კონსერვატორიის ჩასაბერ საკრავთა მიმართულების სხდომაზე.

ნაშრომის შინაარსი

ნაშრომის შესავალში ზოგადად წარმოჩენილია კლარნეტის როლი კლასიკური მუსიკის განვითარებაში და მისი შექმნისა და განვითარების ისტორიის მოკლე მიმოხილვის საფუძველზე მოტივირებულია სადისერტაციო თემის აქტუალობა, განხილულია საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა; განსაზღვრულია კვლევის ობიექტი და საგანი, მიზანი და ამოცანები; აღნიშნულია დისერტაციის მეცნიერული სიახლე, პრაქტიკული მნიშვნელობა და წარმოდგენილია ნაშრომის სტრუქტურა.

I თავი - კლარნეტი და მისი ოჯახის ინსტრუმენტები. წარმოშობის ისტორია და ტემბრულ-აკუსტიკური საშუალებების განვითარების საკითხები ორ ქვეთავს აერთიანებს. პირველ ქვეთავში - 1.1. კლარნეტის და მისი ოჯახის ინსტრუმენტების ტემბრულ-აკუსტიკური და ტექნიკური საშუალებები და მათი განვითარება დეტალურად ვახასიათებთ კლარნეტისა და მისი ოჯახის ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტების ტემბრულ-აკუსტიკურ და ტექნიკურ საშუალებებს და გთავაზობთ მათი განვითარების ისტორიას. დეტალურად მიმოვიხილავთ ასევე სისტემებს. აქცენტი კეთდება, ბუნებრივია, ოლერისა და ბიომის სისტემებზე. ამ საკითხების განხილვა ხდება კლარნეტის რეპერტუარის განხილვის კვალდაკვალ. მიმოვიხილავთ როგორც სოლო, ისე კამერულ რეპერტუარს და ასევე ვსაუბრობთ კლარნეტის როლზე საორკესტრო ნაწარმოებებში.

კლარნეტის ოჯახის ტემბრულ-აკუსტიკური და ტექნიკური საშუალებები საუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან განვითარებას განიცდიდა. ადრეული შალიუმოდან თანამედროვე კლარნეტამდე და მისი ოჯახის სხვადასხვა წევრამდე, ინოვაციის თითოეულმა საფეხურმა გააფართოვა ინსტრუმენტის შესაძლებლობები და გაამდიდრა მისი მუსიკალური პოტენციალი. კლარნეტის ოჯახის უნიკალურმა ტემბრულმა თვისებებმა და ტექნიკურმა პროგრესმა აქცია იგი მრავალფეროვანი და ექსპრესიული ინსტრუმენტების ჯგუფად, რომელიც არაერთ მუსიკალურ ჟანრში გამოიყენება.

სწორედ ამ საკითხზე ხდება აქცენტირება *მეორე ქვეთავში - 1.2. კლარნეტის წარმოშობა და მისი განვითარების ეტაპები სხვადასხვა ეპოქასა და ჟანრში.*

აქ ჩვენ მივყვებით კლარნეტის განვითარების გზას და გამოვყოფთ ცალკეული კომპოზიტორებისა და ცნობილი კლარნეტისტების (ბეარი, შტადლერი, ბერამი, მიულფელდი, გუდმანი და სხვ.) როლს ინსტრუმენტისა და მისი რეპერტუარის განვითარებაში.

ქვეთავის დასაწყისში მიმოვიხილავთ კლარნეტის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას ერთენაკიანი ინსტრუმენტიდან შუა საუკუნეების შალიუმომდე. მნიშვნელოვანი გარდასახვა შალიუმოდან კლარნეტამდე დენერს მიეწერება. მისმა ინოვაციებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ინსტრუმენტის შექმნაში. ამის შემდეგ კლარნეტმა მალევე დაიმკვიდრა ადგილი ბაროკოს რეპერტუარში. მისი გამოყენება თავიანთ ნაწარმოებებში ისეთმა კომპოზიტორებმა დაიწყეს, როგორებიც იყვნენ ი.ს. ბახი, ტელემანი და ვივალდი. ინსტრუმენტის გაფართოებული დიაპაზონისა და მისი გამომხატველობითი შესაძლებლობების დამსახურებით კლარნეტი თავისუფლად ერგებოდა როგორც საორკესტრო, ისე საანსამბლო და სოლო მუსიკას.

ბაროკოს ორკესტრებში კლარნეტს ხშირად იყენებდნენ სხვა ხის სასულე ინსტრუმენტების გასაორმაგებლად, რათა შეექმნათ უფრო ფერადი და მდიდარი საერთო ჟღერადობა. კლარნეტი საკმაოდ უნიკალური აღმოჩნდა იმ მხრივაც, რომ მას შეეძლო შერწყმოდა სხვა ინსტრუმენტებს ისე, რომ არ დაეკარგა ტემბრი, რომელიც მას სხვა სასულეებისგან გამოარჩევდა.

მალევე გაჩნდა კლარნეტისთვის სოლო ნაწარმოებებიც, რომლებმაც კიდევ უფრო უკეთ გამოაჩინა ინსტრუმენტის ვირტუოზული პოტენციალი. იოჰან მოლტერის ექვსი კლარნეტის კონცერტი, შექმნილი 1740-იან წლებში, არის სოლო ინსტრუმენტისთვის შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნამუშევრები.

დიდი წვლილი მიუძღვის კლარნეტის განვითარებაში შტამიცების ოჯახს. იოჰან შტამიცმა შექმნა კლარნეტის კონცერტის ერთ-ერთი ადრეული მაღალი დონის ნიმუში - კონცერტი კლარნეტისა და ორკესტრისთვის სი ბემოლ მაჟორი. იგი ასევე გახლდათ ერთ-ერთი პირველი კომპოზიტორი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა კლარნეტს ორკესტრში. თუმცა, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შვილი,

კარლ შტამიცი. სწორედ მან შეასრულა მნიშვნელოვანი როლი კლარნეტის რეპერტუარის გაფართოებაში, შექმნა რა 11 კონცერტი ამ საკრავისთვის.

კლარნეტის როლი კლასიკურ მუსიკაში მნიშვნელოვნად გაზარდა მოცარტმა. ამ ინსტრუმენტისადმი მისი სიყვარული ნათლად არის გამოხატული მის ნაწარმოებებში, რომელთა შორისაა ცნობილი კონცერტი კლარნეტისა და ორკესტრისთვის ლა მაჟორი, კლარნეტის კვინტეტი ლა მაჟორი და კლარნეტის ტრიო მი ბემოლ მაჟორი. განვიხილავთ ასევე მოცარტის მიერ კლარნეტის სხვადასხვა სახის გამოყენებას მის სიმფონიურ და საოპერო შემოქმედებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიმფონიურ ორკესტრთან სრული ინტეგრაცია კლარნეტმა, ფაქტობრივად, კლასიკურ პერიოდში განიცადა. მოცარტის გარდა, ჰაიდნი და ბეთჰოვენიც აღიარებდნენ კლარნეტის პოტენციალს როგორც ლირიკულ, ასევე ვირტუოზულ პასაჟებში.

რომანტიზმის ეპოქაში კლარნეტის როლი კიდევ უფრო გაიზარდა, როგორც საორკესტრო ისე კამერულ და სოლო რეპერტუარში. ისეთი კომპოზიტორები, როგორებიც იყვნენ შპორი, მენდელსონი, ბრამსი და ვებერი, კარგად იცნობდნენ კლარნეტის დინამიურ დიაპაზონსა და მის ექსპრესიულ შესაძლებლობებს და საკუთარ ნაწარმოებებშიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მას.

კლარნეტის გაფართოებულმა დიაპაზონმა, ტექნიკურმა და დინამიკურმა შესაძლებლობებმა ის ასევე იდეალური გახდა რომანტიული საორკესტრო მუსიკისთვის დამახასიათებელი ემოციურობისა და დრამატიზმის გამოსახატავად. ბრამსი ხშირად მიმართავდა კლარნეტს თავის ორკესტრში. ვაგნერმა კი კლარნეტი აქცია მნიშვნელოვან ფერად მის გაფართოებულ რომანტიკულ ორკესტრში, რითაც განსაკუთრებული დრამატული და ფსიქოლოგიური სიღრმე შესძინა მუსიკას. ასევე პიონერული იყო მის მიერ ბას-კლარნეტის გამოყენება.

XX საუკუნეში მუსიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, შეიქმნა მუსიკის ახალი სტილები და დაინერგა არატრადიციული ტექნიკები. კლარნეტი და მისი ოჯახი განაგრძობდნენ განვითარებას. კომპოზიტორები, როგორებიც არიან სტრავინსკი, შონბერგი, ნილსენი და კოპლენდი, არღვევდნენ საზღვრებს და იყენებდნენ ინსტრუმენტს მისი შესაძლებლობების ფარგლებს მიღმა. ამ ეპოქის კლარნეტის რეპერტუარის განვითარებაზე საუბარი არ შეიძლება ისეთი დიდი კომპოზიტორის

ხსენების გარეშე, როგორებიც იყვნენ ბარტოკი, პულენკი, ჰინდემიტი და მესიანი. ყოველი მათგანი აღიარებდა კლარნეტის უნიკალურ ექსპრესიულ ძალას და იყენებდა მას თავიანთ ნაწარმოებებში.

იქიდან გამომდინარე, რომ კლარნეტზე დაკვრის ე.წ. „გაფართოებული ტექნიკის“ გამოყენებაც გახდა შესაძლებელი, მისდამი ინტერესი XX საუკუნის მორე ნახევრისა და XXI საუკუნის კომპოზიტორებშიც არ გამქრალა. ამ პერიოდის კომპოზიტორებს შორის, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს კლარნეტის რეპერტუარის განვითარება, აღსანიშნავია კარტერი, ბერიო, შტოკჰაუზენი, ბულეზი, საარიასკო, ლინდბერგი, ადამსი, ვიდმანი, რაიხი და სხვ. მოცემულ კონტექსტში აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ქართველი კომპოზიტორების შემოქმედება. ქართულ აკადემიურ მუსიკაში გამორჩეული ადგილი უჭირავს რამაზ კემულარიას სონატას კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის და ვაჟა აზარაშვილის ამავე ჟანრში შექმნილ ნაწარმოებს. აღსანიშნავია, რომ ქართული აკადემიური მუსიკის ისტორიაში პირველი კლარნეტის სონატა (1962) ეკუთვნის მიხეილ შულღიაშვილს (სონატის ნოტები, სამწუხაროდ, დაკარგულია). კლარნეტზე დაკვრის გაფართოებულ ტექნიკას ხშირად მიმართავენ ჭაბაშვილი და ვირსალაძე.

კლარნეტის სიღრმისეულად შესწავლამ და ახალი ტექნიკების დანერგვამ დიდი გავლენა იქონია საორკესტრო მუსიკაზეც. დამკვიდრდა ახალი, ინსტრუმენტისთვის არადამახასიათებელი ტექნიკები, მუსიკოსებმა დაიწყეს კლარნეტის ახლებურად გამოყენება, გაიზარდა ბას-კლარნეტის როლი, რომელმაც უფრო ღრმა და მდიდარი ჟღერადობა შესძინა ორკესტრებს. ამ ეპოქაში შეემატა კლარნეტის ოჯახს ახალი წევრებიც, მაგალითად, კონტრაბას-კლარნეტი, რამაც ახალი ფერების შეტანის შესაძლებლობა მისცეს კომპოზიტორებს.

თანამედროვე ორკესტრაცია კლარნეტს ბევრად უფრო მოქნილს ინსტრუმენტად განიხილავს. თანამედროვე ორკესტრები ჩვეულებრივ იყენებენ B და A კლარნეტებს, ბას-კლარნეტს და ზოგჯერ E კლარნეტს. თუმცა, კომპოზიტორები მიმართავენ სწრაფ გადართვებს ინსტრუმენტებს შორის და გაფართოებულ ტექნიკას, როგორც სტანდარტულ პრაქტიკას.

სხვათაშორის, კლარნეტის ასეთმა მოქნილობამ საშუალება მისცა მას, მორგებოდა მრავალ, ერთმანეთისგან განსხვავებულ მუსიკალურ გარემოს, დაწყებული ჯაზიდან, დამთავრებული ელექტრონული და ექსპერიმენტული ჟანრებით. ახალი ტექნოლოგიების, ელექტრონული მუსიკის ელემენტების და გაფართოებული ტექნიკის გამოყენებამ კიდევ უფრო გააფართოვა კლარნეტისა და მისი ოჯახის შესაძლებლობები.

სწორედ გაფართოებულ ტექნიკას ეთმობა მომდევნო **II თავი - კლარნეტზე დაკვრის გაფართოებული ტექნიკა - ექსპერიმენტებიდან თანამედროვე პრაქტიკამდე. პირველ ქვეთავში - 2.1. გაფართოებული ტექნიკა - ზოგადი მიმოხილვა** - ჩვენ ზოგადად მიმოვიხილავთ გაფართოებულ ტექნიკას (extended technique), ვაანალიზებთ მისი წარმოშობის წინაპირობებს.

გაფართოებული ტექნიკა, რომელიც ინსტრუმენტზე შესრულების არატრადიციული მეთოდს წარმოადგენს, უნიკალური და განსხვავებული ბგერების წარმოქმნას ისახავს მიზნად. მას მდიდარი და კომპლექსურად დატვირთული ისტორია აქვს, რომელიც საუკუნეებს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად ასოცირდება ავანგარდულ და თანამედროვე აკადემიურ მუსიკასთან, ბგერის წარმოქმნის ეს ინოვაციური მიდგომა სათავეს იმ მუსიკალური ტრადიციებიდან იღებს, რომელიც განსხვავებულ კულტურებსა და ეპოქებს მოიცავს.

განვიხილავთ რა ამ ისტორიულ წინაპირობებს, აღვნიშნავთ, რომ XX საუკუნის დასაწყისი გარდამტეხი მომენტი იყო გაფართოებული ტექნიკის განვითარებაში. კომპოზიტორებმა დაიწყეს ახალი ბგერების წარმოქმნის სისტემური შესწავლა, რაც განპირობებული იყო ტრადიციული ტონალური და ტემბრალური შეზღუდვებისაგან თავის დასაღწევს სურვილით. მოცემულ ქვეთავში ჩვენ მიმოვიხილავთ ისეთი კომპოზიტორების წვლილს სხვადასხვა საკრავების გაფართოებული ტექნიკის განვითარებაში, როგორებიც არიან კოუელი, კეიჯი, შტოკჰაუზენი, პენდერეკი, ლახენმანი, პარკერი.

კონკრეტულად კლარნეტზე შესრულების გაფართოებულ ტექნიკას უკვე ეთმობა **მეორე ქვეთავი - 2.2. გაფართოებული ტექნიკა და კლარნეტი**. ჩვენ კონკრეტულად აღწერთ გაფართოებული ტექნიკის ისეთ სახეებს, როგორებიცაა მულტიფონიკები, ფრულატო, ცირკულარული სუნთქვა, მიკრო- და მეოთხედტონები, პერკუსიული

ეფექტები, გლისანდო, ბგერის სიმაღლის გადახრები, ბგერის წარმოების ალტერნატიული მეთოდები. საილუსტრაციოდ მოყვანილია ფრაგმენტები ევან ზიპორინიზს, ტუი სტ. ჯორჯ ტაკერის, ვინკო გლობოკარის, მაკა ვირსალამის, ეკა ჭაბაშვილისა და ფრანკო დონატონის ნაწარმოებებიდან. ასევე აღნიშნულია უილიამ ო. სმიტის, კარლჰაინც შტოკჰაუზენისა და პიერ ბულზეის როლი გაფართოებული ტექნიკის განვითარებაში.

მესამე ქვეთავი - 2.3. გაფართოებულ ტექნიკის გამოწვევები და სამომავლო პოტენციალი - მიმოიხილავს გაფართოებული ტექნიკის უმთავრეს გამოწვევებს და ყურადღების ცენტრში აქცევს სამომავლო პოტენციალს. გაფართოებული ტექნიკის გამოყენება დაკავშირებულია მთელ რიგ გამოწვევებთან. ის შემსრულებლებისგან ხშირად მნიშვნელოვან ფიზიკურ ადაპტაციას მოითხოვს. გაფართოებული ტექნიკის სანოტო სისტემა ასევე მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს. მიუხედავად იმისა, რომ თანდათან მოხდა თანამედროვე ნოტაციის გარკვეული სტანდარტიზაცია, ბევრი კომპოზიტორი ავითარებს საკუთარ სანოტო სისტემებს, რაც მოითხოვს ინტენსიურ შესწავლას და ინტერპრეტაციას.

გაფართოებული ტექნიკის კომბინაცია ახალ ტექნოლოგიებთან ხსნის ახალ შესაძლებლობებს კლარნეტის ბგერის შესწავლისათვის. მან ფუნდამენტურად გარდაქმნა კლარნეტის როლი თანამედროვე მუსიკაში, გააფართოვა მისი გამომსახველი და ტექნიკური შესაძლებლობები ტრადიციულ საზღვრებს მიღმა. უილიამ ო. სმიტის პიონერული ნამუშევრიდან დაწყებული, თანამედროვე კომპოზიტორების რთული ბგერითი ლანდშაფტით დამთავრებული, ის აუცილებელ ინსტრუმენტებად იქცა თანამედროვე კლარნეტისტებისთვის და კომპოზიტორებისთვის.

III თავი - კლარნეტზე შესრულების სპეციფიკისა და სწავლების მეთოდის საკითხები ეთმობა კლარნეტზე შესრულების სპეციფიკისა და სწავლების მეთოდის საკითხების განხილვას, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია კლარნეტის და მისი რეპერტუარის საშემსრულებლო ასპექტებზე საუბარი. თავი ეთმობა დაკვრის პედაგოგიურ ასპექტებს და პრაქტიკულ რჩევებს შემსრულებლებისთვის. განხილულია:

- სწორი სუნთქვის და ტუჩის აპარატის ჩამოყალიბების მნიშვნელობა;

- ხელის პოზიციის გავლენა შესრულებაზე;
- ჟღერადობაზე სატუჩის, ენაკის და ინსტრუმენტის კონსტრუქციის გავლენა;
- არტიკულაცია და ენის პოზიცია;
- ფრაზირება, ტემპის მოქნილობა, და დინამიკური მრავალფეროვნების მიღწევის საშუალებები;
- ინსტრუმენტის სპეციფიკის ცოდნის აუცილებლობა და ინდივიდუალური მიდგომების შერჩევა (განსაკუთრებით პედაგოგიკაში).

ავტორთა (ლევევრე, კლოზე, ფროლიხი, ბაკოფენი) მეთოდებზე დაყრდნობით წარმოდგენილია სწავლების ისტორიული და თანამედროვე მიდგომების სინთეზი.

სადისერტაციო ნაშრომის ცენტრალურ თავს წარმოადგენს IV თავი - საეტაპო მნიშვნელობის კლარნეტის კონცერტების საშემსრულებლო ანალიზი ისტორიულ კონტექსტში. ის მოიცავს სამ ქვეთავს. პირველ ქვეთავში - 4.1. კლარნეტის კონცერტის ჟანრის ზოგადი მიმოხილვა ვაანალიზებთ ჟანრის განვითარების ისტორიულ გზას.

კლარნეტის კონცერტის ჟანრი მნიშვნელოვნად განვითარდა XVIII საუკუნის ბოლოს, რაც მეტყველებს როგორც კლარნეტზე შესრულების ტექნიკის, ისე კომპოზიციური სტილის ევოლუციაზე. დაწყებული კლასიკური ეპოქის კონცერტებიდან, რომლებმაც პირველად წარმოაჩინეს ინსტრუმენტის ვირტუოზული შესაძლებლობები, დამთავრებული თანამედროვე პერიოდის ავანგარდული კონცერტებით, კლარნეტის კონცერტი მუდმივად ცვალებად და განვითარებად ჟანრად გვევლინება. ამ თავში ჩვენ მიმოვიხილავთ მის ისტორიულ განვითარებას, წარმოვაჩენთ, როგორ შეიცვალა კლარნეტისტებისთვის ტექნიკური და მუსიკალური გამოწვევები დროთა განმავლობაში.

ქვეთავში მიმოვიხილავთ და ისტორიულ კონტექსტში ვსვამთ ჟანრის ადრეულ წარმომადგენლებს - მოლტერის, იოჰან და კარლ შტამიცების, მოცარტის, კრომერის კონცერტებს. XIX საუკუნის კონცერტებიდან გამოვყოფთ ვებერის, და შპორის კონცერტებს. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი კონცერტებიდან გამოვყოფთ ნილსენის, ჰინდემიტის, აარონ კოპლენდის კლარნეტის კონცერტებსა და იგორ სტრავინსკის „Ebony Concerto“-ს. XX საუკუნის მეორე ნახევარში

კომპოზიტორებმა კლარნეტის ახალი ბგერათწარმოების შესაძლებლობების ძიება დაიწყეს. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი ჩვენს დისერტაციაში უკავია ფრანსეს, კორილიანოს, ლინდბერგის კონცერტებს და საარიაჰოს მიერ კლარნეტის კონცერტის ჟანრში შექმნილ „D'om le vrai sens“-ს.

კონცერტების მოკლე მიმოხილვით ჩვენ ვცდილობთ, წარმოგიდგინოთ ჟანრის ევოლუციის გზა. თითოეული საეტაპო კონცერტი ასახავს თავისი დროის ესთეტიკურ მისწრაფებებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კლარნეტის კონცერტი განაგრძობს განვითარებას. მეორე ქვეთავში კი - 4.2. სხვადასხვა ეპოქის სანიმუშო კლარნეტის კონცერტების საშემსრულებლო ანალიზი - კლარნეტის კონცერტის ჟანრის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, კონკრეტულად განვიხილავთ რამდენიმე საეტაპო მნიშვნელობის ნიმუშს, მათ ისტორიულ კონტექსტს, ფორმას და საშემსრულებლო სირთულეებს. ჩვენ შევჩერდით კონცერტებზე, რომლებიც, ჩვენის აზრით, გამოხატავენ მათი სტილური ეპოქების უმთავრეს პრინციპებს. თუმცა, ასევე გავითვალისწინეთ პირადი საშემსრულებლო გამოცდილებაც, ვინაიდან თითოეული განხილული კონცერტი ან შესწავლილი, ან სცენაზე გატანილ იქნა დისერტაციის ავტორის მიერ.

გაანალიზებულია შემდეგი კონცერტები:

- იოჰან შტამიცი – კლარნეტის კონცერტი სი ბემოლ მაჟორი
- ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის კლარნეტის კონცერტი ლა მაჟორი, K. 622.
- კარლ მარია ფონ ვებერი – კლარნეტის კონცერტი No 1 ფა-მინორი, თხზ. 73
- კარლ ნილსენი – კლარნეტის კონცერტი, თხზ. 57
- კაია საარიაჰო - კლარნეტის კონცერტი „D'om le vrai sens“

ანალიზისას გთავაზობთ კონცერტების შექმნის ისტორიულ წინაპირობებს, ვსაუბრობთ ფორმის თავისებურებებზე, შემდეგ კი წმინდა საშემსრულებლო პრობლემებზე, რომელთა გადაჭრისთვის გთავაზობთ საკუთარ საშემსრულებლო გამოცდილებაზე დაყრდნობით მიღებულ რჩევებს.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს, წარმოგიდგინოთ კლარნეტის კონცერტის ჟანრის ევოლუციის გზა, რომელიც განზოგადებული გვაქვს მესამე ქვეთავში - 4.3. კლარნეტის კონცერტის ჟანრის ევოლუციის ზოგადი მიმოხილვა. ჩვენ ვავლებთ პარალელებს საკრავის კონსტრუქციის და კლარნეტის კონცერტის ჟანრის

განვითარებებს შორის და კონცერტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოგიდგენთ ჟანრის ევოლუციის გზას. მას ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოაჩენს სხვადასხვა ეპოქის საეტაპო მნიშვნელობის კლარნეტის კონცერტების შედარება.

მოცარტის კლარნეტის კონცერტი რჩება კლასიკური ბალანსის და ლირიკული სილამაზის მწვერვალად, რომელიც განსაკუთრებულად მოითხოვს ფრაზების კონტროლს. ვებერის კონცერტები, პირიქით, მოითხოვენ მეტ დრამატიზმს და ტექნიკურ-ვირტუოზული სირთულეების დამძლევა უნარებს, რაც დამახასიათებელია ადრეული რომანტიკული ვირტუოზობისთვის. XX საუკუნეში, კლასიკური ტრადიციებისგან გასხვავებით, სტრავინსკისა და კოპლენდის კონცერტები მოიცავენ ჯაზის, შესაბამისად, სინკოპირებული რიტმის ელემენტებს, რაც ხაზს უსვამს არაერთგვაროვანი მუსიკალური სტილების მზარდ გავლენას კლასიკურ მუსიკაზე. იმავდროულად, ნილსენის კონცერტმა შემოიტანა ინდივიდუალიზებული და კონკურენტული ურთიერთობა სოლისტსა და ორკესტრს შორის, რაც მკვეთრად განსხვავდება XIX საუკუნის ლირიკული დიალოგის ტრადიციიდან. თანამედროვე მუსიკაში კი კლარნეტი ბუნებრივად ინტეგრირდება ტემბრალური თვალსაზრისით გამდიდრებულ ორკესტრის ფაქტურაში და მის განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგება.

კლარნეტის კონცერტი, როგორც ჟანრი, მუდმივად ვითარდებოდა ინსტრუმენტის დიზაინის, საშემსრულებლო პრაქტიკისა და კომპოზიციური აზროვნების სფეროებში მომხდარი ინოვაციების პასუხად. კლარნეტისტები კვლავ განაგრძობენ საკრავის ახალი ტექნიკური შესაძლებლობების ძიებას, ხოლო კომპოზიტორები კლარნეტს გამომსახველობის საზღვრებს უზრდიან, კლარნეტის კონცერტი რჩება ხელოვნების დინამიურ და ევოლუციურ ფორმად. ამ ევოლუციის მომავალს განაპირობებს ინოვაციები კლარნეტის კონსტრუქციაში, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება და ახალი ჟანრობრივი გავლენები, რაც კიდევ უფრო გაამყარებს კლარნეტის, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვანი და გამომსახველი ინსტრუმენტის ადგილს აკადემიურ მუსიკაში.

ნაშრომის შედეგებსა და დასკვნაში ხდება კვლევის შედეგების შეჯამება. კლარნეტის, როგორც ინსტრუმენტის, ისტორიული და საშემსრულებლო ანალიზმა გამოავლინა მისი განვითარების მრავალი ფენა, რაც მჭიდროდ უკავშირდება როგორც

ტექნიკურ პროგრესს, ასევე მუსიკალური ენის ტრანსფორმაციებს სხვადასხვა ეპოქაში. ნაშრომის ფარგლებში შესრულებული ისტორიული, სტილისტური და საშემსრულებლო მასალის შედარებითმა ანალიზმა არაერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია და თავისებურება გამოავლინა.

ანალიზი აჩვენებს, რომ კლარნეტის ტექნიკური განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად განსხვავდება ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმისა და მოდერნიზმის ეპოქებს შორის. თუ ბაროკოს კლარნეტი ჯერ კიდევ შეზღუდული დიაპაზონით და ჟღერადობით ხასიათდება, კლასიციზმის პერიოდში (განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან) ინსტრუმენტი იღებს მრავალსარქველიან მოდელს, რაც ტექნიკურად ბევრად მოქნილსა და ჟღერადობით მრავალფეროვანს ხდის მას. რომანტიზმის ეპოქაში, კლარნეტის მექანიზმის სრულყოფასთან ერთად, კომპოზიტორები მისთვის ქმნიან უფრო ვრცელ მელოდირ ფრაზებს, მიმართავენ კონტრასტულ დინამიკას და გამომსახველობით მრავალფეროვნებას. XX საუკუნეში კი კლარნეტისთვის შექმნილ ნაწარმოებებში უკვე გამოიყენება მრავალფეროვანი არტიკულაციები, ექსპერიმენტული ჟღერადობა, ხოლო მეორე ნახევრიდან მოყოლებული - გაფართოებული ტექნიკის სახეები, რაც იწვევს შემსრულებლის როლის გარდაქმნას: ის აღარ არის მხოლოდ მოცემული ტექსტის შემსრულებელი, არამედ თანაავტორია კომპოზიციური პროცესისა.

კლარნეტის რეპერტუარის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი როლი სხვადასხვა ჟანრსა და სტილში განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებს. კლასიციზმისა და ადრეული რომანტიზმის პერიოდში დომინირებს სონატა, კონცერტი და სოლო პიესები, რომელთა სტრუქტურა მკაცრად მიჰყვება ფორმალურ მოდელებს. ამ ეპოქის შესრულების პრაქტიკა ეფუძნება ჟღერადობრივი ბალანსის, ფრაზირების სიმეტრიისა და ვირტუოზობის ზომიერ გამოვლინებას. XX საუკუნეში ჟანრული მრავალფეროვნება მკვეთრად იზრდება: კლარნეტი აქტიურად მონაწილეობს კამერულ და საორკესტრო ნაწარმოებებში, ასევე ელექტრონულ, იმპროვიზებულ, თეატრალიზებულ თუ მულტიმედიურ პროექტებში. არტიკულაცია და ტემბრი თამაშობს ცენტრალურ როლს, რაც შემსრულებლისგან მოითხოვს სრულიად განსხვავებულ მიდგომას, ვიდრე

კლასიკურ ნაწარმოებებში. ამ საუკუნეში კლარნეტის ოჯახი ასევე კარგად მოერგო მრავალ, ერთმანეთისგან განსხვავებულ მუსიკალურ სტილსა და კონტექსტს.

მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საშემსრულებლო პრაქტიკამ. თუ კლასიკური და ადრეული რომანტიკული პერიოდის კლარნეტისტები ძირითადად მიჰყვებოდნენ გაწერილ ტექსტს და იცავდნენ ფორმალურ წესებს, თანამედროვე შემსრულებლისგან მოითხოვება მაღალი დონის კრეატიულობა, იმპროვიზაციის უნარი, ინტერპრეტაციული თავისუფლება და ტექნიკური უნარების განახლება.

ასევე განსხვავდება ისტორიული და თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენების ტენდენციები: ისტორიულად ინფორმირებული შესრულების მოძრაობამ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ყურადღება გაამახვილა ბაროკოსა და კლასიციზმის პერიოდის ინსტრუმენტების რეპლიკებზე, რაც რადიკალურად ცვლის ჟღერადობით აღქმას და შესრულების მანერას. თანამედროვე რეპერტუარში კი ხშირად იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს (ელექტრონიკა, ეფექტები, live processing), რაც ანგრევს ტრადიციულ ინტერპრეტაციულ საზღვრებს.

კლარნეტისტის როლი ისტორიულად განიცდიდა ცვლილებებს: კლასიკურ ეპოქაში ის იყო კომპოზიტორის ტექსტის განმახორციელებელი, რომანტიზმში – ვირტუოზი და გამომსახველობითი გმირი, ხოლო თანამედროვე მუსიკაში – კვლევის ავტორი, ექსპერიმენტატორი და შემოქმედებითი პარტნიორი.

კლარნეტის რეპერტუარის ისტორიული და საშემსრულებლო ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა:

- კლარნეტი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელმაც შეძლო როგორც ტექნიკური, ისე გამომსახველობითი ევოლუცია მუსიკის ისტორიის უმთავრეს ეტაპებზე;
- მისი რეპერტუარი ასახავს სტილისტური ტრანსფორმაციების სრულ სურათს – ბაროკოდან პოსტმოდერნიზმამდე – და ხშირად წარმოადგენს ესთეტიკური ძვრების ინდიკატორს;
- შემსრულებლის როლი ამ რეპერტუარში თანმიმდევრულად განიცდიდა გარდაქმნას, რაც საჭიროებს ადაპტაციას და მუდმივ კვლევით მიდგომას;

- თანამედროვე კლარნეტისტს ევალება არა მხოლოდ აკადემიური და ტექნიკური სტანდარტების დაკმაყოფილება, არამედ აქტიური მონაწილეობა მუსიკალური ზღოვანების განვითარებაში.

ეს ნაშრომი ქმნის საფუძველს მომავალი კვლევებისთვის, რომლებიც მიზნად დაისახავენ კლარნეტის რეპერტუარის სიღრმისეულ ანალიზს კონკრეტული ეპოქების, ეროვნული სკოლების, ან თანამედროვე საშემსრულებლო ექსპერიმენტების ჭრილში.

კლარნეტის უნიკალურმა ტემბრულმა თვისებებმა და ტექნიკურმა შესაძლებლობებმა ის რჩეულ ინსტრუმენტად აქცია სოლო, კამერულ და საორკესტრო ნაწარმოებებში. მისმა უნიკალურმა შესაძლებლობებმა და სხვა ინსტრუმენტებთან თავისუფლად შერწყმის უნარმა უზრუნველყო მისი მუდმივი აქტუალობა და მნიშვნელობა მუსიკის სამყაროში. ტექნოლოგიური წინსვლისა და ახალი მუსიკალური სტილის გაჩენის შემდეგ, კლარნეტის ოჯახის როლი მუსიკაში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაფართოვდება, რაც ახალ შესაძლებლობებს შესთავაზებს როგორც კომპოზიტორებს, ისე შემსრულებლებს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციაში:

ჯიშკარიანი, დ. (2025), კლარნეტი და მისი ოჯახის ინსტრუმენტები (წარმოშობის ისტორია და ტემბრულ-აკუსტიკური საშუალებების განვითარების საკითხები), *GESJ: Musicology and Cultural Science*. No.2(30), გვ. 31-46. https://gesj.internet-academy.org/ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=muz

V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

Copyright of the manuscript

Davit Jishkariani

**The Clarinet and the Historical and Performance Aspects of Its
Repertoire**

A B S T R A C T

of the dissertation for the degree of Doctor of Arts

MUS 0215.1.8: Performing Arts (Wind Instruments)

Tbilisi, 2025

Scientific supervisor:

Nino Jvania

Doctor of Art Studies, Associate Professor

Expert:

Nino Bakradze

Doctor of Art Studies, Associate Professor

The dissertation defense will be held on Friday, 10 October, 2025, at 12:00

at the Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire Dissertation Council meeting N 5

Address: 8, Griboedov Street, Tbilisi. Tbilisi State Conservatoire, Library

The abstract is available at the library of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire and on the Conservatoire website: tsc.edu.ge

Scientific Secretary of the Dissertation Council

Eka Chabashvili

Doctor of Musical Arts, Associate Professor

Abstract

General Description of the Thesis

